შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

2023 წლის ანგარიში

2023

წარმოდგენილ იქნა კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულის წლიური ანგარიში. საჭიროა ყველაფრის შეჯამება:

2023 წელს ბიბლიოთეკაში არსებული ყველა ლიტერატურა დამუშავდა საბიბლიოთეკო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ახალი სასწავლო წლის დაწყებისას გადამოწმდა წიგნადი ფონდი იყო თუ არა შესაბამისობაში მოდულებთან. საჭირო გახდა რამდენიმე ახალი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიის მოძიება. მომავალი წლისთვის ბიბლიოთეკა ემზადება ახალი პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო წიგნადი ფონდის მოსაძიებლად, რომელიც დამუშავდება შესაბამისი რეგულაციებით.
გარდა ამისა, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა მომსახურება - ბიბლიოთეკას მიმართა 117 პროფესიულმა სტუდენტმა და 12 პროფესიულმა მასწავლებელმა. ასევე, ბიბლიოთეკა აქტიურად იყო ჩართული კოლეჯში მიმდინარე ღონისძიებებსა და პრეზენტაციებში. 2023 წელს ბიბლიოთეკაში მოეწყო ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა წიგნის კითხვის დღეს. ბიბლიოთეკაში კონტროლდება და დაცულია დოკუმენტაციის შენახვისათვის საჭირო პირობები.
2023 წელს კომპეტენციის ფარგლებში ექიმის მიერ გაწეულ იქნა პირველადი სამედიცინო მომსახურება კოლეჯის ადმინისტრაციისათვის და პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის. საჭირო არ გამხდარა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახება. კოლეჯს არ ჰყოლია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები.
იურისტი მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა კოლეჯის ფუნქციონირებისათვის საჭირო სათანადო სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების შედგენა/შეთანხმება/დამტკიცებისათვის მომზადებას; სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კონსულტაციის საფუძველზე კოლეჯის სამართლებრივ რეგულაციებში ისახებოდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები.
მთელი წლის განმავლობაში **კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტის მიერ** კოლეჯის ვებ გვერდზე ხდებოდა ინფორმაციის განახლება, აგრეთვე კოლეჯის სოციალური ქსელების ტექნიკური ადმინისტრირება და მონიტორინგი; საჭიროების შემთხვევაში ახდენდა კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრას, ვირუსებისაგან გაწმენდას, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაციასა და რემონტს. ხშირი იყო კომპიუტერების დაზიანება, მაგრამ სწრაფადვე მიმდინარეობდა ხარვეზების აღმოფხვრა. შეხვედრებისა და ღონისძიებების დროს უზრუნველყოფილი იყო კოლეჯში დასაქმებულ პირთათვის პრეზენტაციებისათვის შესაბამისი აპარატურისა და ელექტრონული მასალის მომზადებაში დახმარება.
პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერი აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში. სწავლის დაწყებისთანავე ჩატარდა შეხვედრა 2023 წლის ჩარიცხვის პროფესიულ სტუდენტებთან და მიეწოდა ინფორმაცია მათ უფლებების/ვალდებულებებისა და კოლეჯში არსებულ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის/დახმარების შესაძლებლობის შესახებ. გააცნო მათ კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულები.
კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერი მონაწილეობდა და შეიმუშავებდა რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და

პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა დასაქმების ბაზრის შესწავლა და შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების მიწოდება სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისათვის. ჩატარდა დასაქმების ფორუმი სადაც კურსამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები შეხვდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს.

გამოიკითხა მარნეულის რეგიონის სოფლების სკოლის მოსწავლეები თუ რომელ პროფესიულ პროგრამაზე ისურვებდნენ სწავლას, გამოიკვეთა მოთხოვნადი პროფესიული პროგრამები.

ჩატარდა თვითმართველობის არჩევნები და მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები.

ჩატარდა დამსაქმებელთა კვლევა ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდებაზე დაკვირვების მიზნით.

ჩატარდა შეხვედრები თემაზე: პირველადი გადაუდებელი დახმარება, ნარკოტიკის მავნებლობა და სხვა.

26 მაისს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში სტუდენტების მონაწილეობით , გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებას დაესწრნენ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, მარნეულის რეგიონის სკოლის დირექტორები, მარნეულის საელჩოს წარმომადგენლები.

ივლისი-აგვისტოს თვე დატვირთული იყო ვიზიტებით ქვემო ქართლის რეგიონის სკოლებში, სადაც ჩატარდა პროფორიენტაცია, ვისაუბრეთ პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, კოლეჯში არსებულ პროფესიებზე და ამ პროფესიებით დასაქმების შესაძლებლობებზე.

მოვიარეთ სოფლები და „თემები“, შევხვდით მოსახლეობას რასაც მოჰყვა მათი მხრიდან აქტივობა, რამაც ხელი შეუწყო მათ სწორად მიეღოთ გადაწყვეტილებები შემდგომი განათლების მიღების მიზნით, რაც აისახა 2023 წლის მიღებაზე ჩვენს კოლეჯში.

გამოიკითხა 2022 და 2023 წლის 128 კურსდამთავრებული. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 20% არის 20 წლამდე, 15 % არის 40 წლამდე, 10% არის 50 წლამდე, 55 % 30 წლამდე. გამოკითხულთა 85% არის მდედრობითი სქესის რესპოდენტი, 15% მამრობითი სქესის.

გამოკითხვისას 35% იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისების კურსდამთავრებული, 25% პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია, 40% პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება და 40 % პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი.

გამოკითხულთა 65% არის დასაქმებული და დასაქმებულთა უმეტესობა მოდის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისებისა და აღმზრდელის კურსდამთავრებულებზე.

10% სწავლის პერიოდში დასაქმდა, 55% სწავლის დასრულების შემდეგ.

საშუალოდ მათი თვიური ანაზღაურება არის 1500 ლარამდე.

ის ვინც არ არის დასქამებული, მათი დაუსაქმებლობის მიზეზად 15 % თვლის რომ არ აქვს სათანადო ცოდნა, 57% თვლის რომ დაუსაქმებლობის მიზიზი არის ოჯახური მდგომარეობა, 28 % ვერ შოულობს სამსახურს.

დაუსაქმებელთა უმეტესობა დაინტერესებულია დასაქმებით და თვლის რომ დასაქმებაში ხელს უშლის უცხო ენის ცოდნა და პრაქტიკული ცოდნის ნაკლებობა.

კურსდამთავრებულთა 84% თვლის რომ კოლეჯში მიღებული განათლების შედეგებმა გაამართლა მათი მოლოდინები.

73% თვლის რომ საკმარისი იყო თეორიული საათები, 82% თვლის რომ საკმარისი იყო პრაქტიკული საათები.

მათი უმეტესობა წინააღმდეგია იმის რომ რამოდენიმე მოდული მიმდინარეობდა ერთად, უკეთესი იქნებოდა კურაციული გაწერა სასწავლო გეგმია.

72% თვლის რომ კოლეჯში მიღებული განათლება ხელს უწყობს დასაქმებას.

31% თვლის რომ პროგრამის მიზნები რომელზეც სწავლობდნენ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის არსებულ მოთხოვნებს.

92% ამბობს რომ სწავლის პერიოდში იღებდა ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ;

92% ადასტურებს რომ კოლეჯში იმართებოდა დასაქმების ფორუმები;

კურსდამთავრებულთა 23 % თვლის რომ კოლეჯმა განუვითარა გუნდური მუშაობის უნარი, 36% თვლის რომ განუვითარა ლიდერობის უნარი, 12% თვლის სხვა უნარებს, 29% ფიქრობს რომ კომუნიკაციის უნარის განვითარებას შეუწყო კოლეჯმა ხელი.

კურსდამთავრებულთა 75 % თვლის რომ კოლეჯი დაეხმარა დასაქმებაში;

დასაქმებაში 71% თვლის რომ გამოადგა პრაქტიკული კომპონენტი 29% თვლის რომ თეორიული.

15ნოემბერს სწავლა დაიწყო ახალმა ნაკადმა რომელიც ჩაირიცხა 2023 წელს.

კვირაში ორჯერ, პროფესიულ სტუდენტებს ჩვენს მიერ ეგზავნება მათ პროფესიაზე მორგებული ვაკანსიები ელექტრონული ფოსტით, საჭიროების შემთხვევაში ხდება დახმარება CV-სა და სამოტივაციო წერილის შედგენაში დამსაქმებლებთან წარსადგენად.

30 დეკემბერს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში იგეგმება საახალწლო ღონისძიება სტუდენტების მონაწილეობით, სტუდენტები წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყნის საახალწლო ტრადიციებს. ღონისძიების ბოლოს გაიმართება თამაში „სეკრეტ-სანტა“.
კოლეჯის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებაში კოლეჯის ცნობადობის ხარისხის ამაღლების მიზნით აქტიურად იყო ჩართული პროცესებში საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელმაც მარნეულის მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში დაგეგმა და განახორციელა აქტივობები, სადაც ჩატარდა კოლეჯის საქმიანობის

გაცნობა, ამის შედეგი იყო ის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა რომელმაც მოგვმართა 2023 წლის რეგისტრაციისათვის.

გამომდინარე პროფესიული პროგრამების მოთხოვნებისა აუცილებელი გახდა ახალი პრაქტიკის ობიექტების მოძიება, აქედან გამომდინარე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მოუწია სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის კოლეჯის საქმიანობის დეტალებში გაცნობა მათი წარმომადგენლების შეხვედრების ორგანიზება კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

სისტემატიურად მიმდინარეობდა პროფესიულ განათლებაში და კოლეჯში მიმდინარე სიახლეების პრესრელიზებისა და საინფორმაციო მასალების მომზადება და მათი განთავსება კოლეჯის ვებ გვედზე და სოციალურ ქსელში.

დაიგეგმა და ჩატარდა კოლეჯში დიპლომის გადაცემის ცერემონია.

26 მაისისადმი დაგეგმილ და ჩატარებულ ღონისძიებას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენლები, მარნეულის თვითმართველობის წარმომადგენლები და მარნეულში არსებული სასწავლო დაწესებულებების წარმოადგენლები. კოლეჯში საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ინიციატივით სტუმრად იმყოფებოდნენ აზერბაიჯანის წამყვანი უნივერსიტეტის ADA-ს ადმინისტრაცია, რომლებმაც ჩვენს კურსდამთავრებულებს გააცნეს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია ჩვენს კურსდამთავრებულებში.

ყველა ღონისძიების შესახებ ინფორმაციის ასახვა დროულად წარმოებდა კოლეჯის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში.

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა

დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე, განსაზღვრულ ვადებში პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების და შეფასებების მონიტორინგს. შეფასების შედეგების მიხედვით განსაზღვრავდა იმ პროფესიულ სტუდენტთა შემადგენლობას, ვინც უნდა გასულიყო განმეორებით შეფასებაზე.

წარმოებდა შეფასების შედეგების შეტანა უწყისებში.

წარმოებდა პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისებისა და მისი განათლების აღიარების განხილვა. მომზადდა დიპლომი და დიპლომის დანართები. სხვა და სხვა კვალიფიკაცია მიენიჭა კოლეჯის 88 სტუდენტს. დამუჩავდა და ჩატარდა საკვალიფიკაციო გამოცდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება''.

2023 წლის მიღებაზე კოლეჯში ჩაირიცხა და მართვის საინფორმაციო სისტემაში აისახა 195 პროფესიული სტუდენტის მონაცემები.

მობილობით გადმოვიდა 7 და სტატუსი აღიდგინა 4-მა პროფესიულმა სტუდენტმა. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მზადდებოდა სასწავლო ცხრილები ისე რომ არ ყოფილა დამთხვევები აუდიტორიებში.

მოდულის დაწყებამდე 7 დღით ადრე წარმოებდა შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია. კალენდარული გეგმების შემოწმება.

ყოველი თვის ბოლოს ითვლებოდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ჩატარებული საათები და მიეწოდებოდა ფინანსურ მენეჯერს.

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი . თითოეულ მოდულზე სწავლების პროცესში და შეფასებაზე წარმოებდა შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრის დასწრება და მიმდინარე პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარის წარმოჩენა.

2023 წელს ჩატარდა ვერიფიკაციის პროცესი რომელშიც კოლეჯში დასაქმებულების გარდა ჩართული იყო გარე დარგის სპეციალისტი. მათ მიერ შემთხვევითობის პრონციპით აირჩა შეფასების ინსტრუმენტები და ჩაუტარდათ ვერიფიკაცია, რომლის შემდგომ დაიდო დასკვნა. დაიგეგმა დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების დანერგვა.

ჩატარდა ანონიმური გამოკითხვა პროფესიული სტუდენტთა დამოკიდებულება კოლეჯსა და სწავლა-სწავლების პროცესების მიმართ (დანართი 1), საიდანაც ირკვევა რომ გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია კოლეჯში მიმდინარე სწავლა-სწავლების პროცესით, და ის უკმაყოფილება რაც დაფიქსირდა ერთეული პროფესიული სტუდენტების მიერ მომდევნო წელს იქნება აღმოფხვრილი.

აგრეთვე გამოიკითხა 10 პროფესიული მასწავლებებლი ანონიმურად (დანართი 2), მათ მიერ გამოვლენილ პრობლემებს რაც შეეხება:სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და სასწავლო მასალით, სამუშაო გარემოს მოწყობას,მონიტორინგის მექანიზმებს, მათი საქმიანობის წამახალისებელ მექანიზმებს, მათ პროფესიულ განვითარებას, კოლეჯის ადმინისტრაცია ეცდება აღმოფხვრას და ხელი შეუწყოს პროფესიული მასწავლებლებისათვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნასა და მათ პროფესიულ განვითარებას.

საქმისწარმოების მენეჯერი მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას და უზრუნველყოფდა კოლეჯის დოკუმენტბრუნვას და მის სისტემატიზაციას; იყენებდა Eflow-ს და წესების დაცვით აწარმოებდა დოკუმენტბურნვას.

წლის განმავლობაში ორგანიზებას უწევდა სამუშაო შეხვედრებსა და თათბირებს. ასევე საქმისწარმოების დებულების შესაბამისად აწარმოებდა რეგისტრაციის ჟურნალებს, დიპლომების, სერტიფიკატებისა და დანართების აღრიცხვას და მათ გაცემას.

2023 წლის კურდამთავრებულები არიან: აღმზრდელის 2 სხვადასხვა წლის მიღება, საფინანსო სერვისების, საექთნო განათლების და ინფორმაციის ტექნოლოგიების სტუდენტები, რომელთაც გადაეცათ დიპლომები, რაც აღრიცხულ იქნა ჟურნალში საქმისწარმოების მენეჯერის მიერ. ასევე შენახულ იქნა ამ კურსდამთავრებულების პირადი საქმეები.

2023 წელს მიღებულ სტუდენტებთან გააფორმა ხელშეკრულება, მოაწესრიგა სტუდენტთა პირადი საქმე პროგრამების მიხედვით, რომელთა მონაცემები განათლების შესახებ ასახულ იქნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც ასევე აიტვირთა სტუდენტთა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მიღებების დროს საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტებს არეგისტრირებდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

2023 წელს შეიქმა კომისია, რომელმაც განსაზღვა არქივში გადასატანი დოკუმენტების სია, რომელთა დახარისხება და აღრიცხვა განახორციელა საქმისწარმოების მენეჯერმა სპეციალურ ჟურნალში. დაარქივებული დოკუმენტები წესების დაცვით გადავიდა არქივისათვის განკუთცვნილ ოთახში.

2023 წელს მიღებულ იქნა ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა ინტეგრაციასაც ხელი შეუწყო საქმისწარმოების მენეჯერმა.

ფინანსური მენეჯერი 2023 წლის განმავლობაში აწარმოებდა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციის პროცესის კოორდინაციას, ფინანსური ანგარიშგების, მიღება-ჩაბარებისა და ურთიერთშედარების აქტების მომზადებას, სამეურნეო ოპერაციების გაფორმებას, ხელფასების გაანგარიშებას და სახელფასო უწყისების მომზადებას, მივლინების გაანგარიშებას, ჩატარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა. მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება მოწოდებული მონაცემების შეჯერებით; შედგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი.
2023 წლის თებერვალში შემუშავდა კოლეჯის საპროგნოზო ბიუჯეტი , რომელიც ჩასწორდა 2023 წლის 17 მარტს.

შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელის მიერ მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო კოლეჯში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოება.
შემუშავებულ იქნა და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
შეიქმნა შემდეგი ჟურნალები:
ცეცხლმაქრების პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ჟყრნალი;
უბედური შემთხვევების არღიცხვის ჟურნალი;
საშიში შმთხვევების აღრიცხვის ჟრნალი;
ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის და მათი გემოყენების ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი;
პირველადი დახმარების ყუთის მასალის გახარჯვის აღრიცხვის ჟურნალი;
შრომის უსაფრთხოების სწავლებების (ტრენინგების) ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი
ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი.
დაინიშნა შენობაში ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოტროპულ თრობაზე პასუხისმგებელ პირი.
შემუშავდა და დამტკიცდა შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია;
სამუშაო ადგილზე რისკების შეფასების ინსტრუქცია;
პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ სასწავლო განგაშის იმიტირება ხანძრის შემთხვევაში.
ადმინისტრაციულ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი ხანძრის დროს უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ.
ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა, სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, და განთავისუფლება. პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა სტრუქტურის რამოდენიმე წარმომადგენელი, მათი ჩანაცვლება მოხდა გამოცხადებული ვაკანსიის საფუძველზე.
მოწესრიგდა პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები.
მთელი წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი განიხილავდა პერსონალის და პროფესიული მასწავლებლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებს რის საფუძველზეც ჩატარდა რამოდენიმე ტრენინგი, აგრთვე პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების ჩართვა განათლების ხარისხის მართვის ცენტრისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარებულ ტრენინგებში.

ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა კოლეჯისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას, შერჩევას. აქტიურად წარმოებდა დამწყები, პერსპექტიული კადრების მოზიდვა, მათი შემდგომი პროფესიული განვითარების დაგეგმვის პარალელურად.
შემოწმდა რამოდენიმე სტრუქტურული ერთეულის მუშაობა, საქმისწარმოებაში დაფიქსირდა შეცდომები, გამომდინარე არსებული მდგომარეობიდან შეწყდა საქმისწარმოების მენეჯერთან შრომითი ხელშეკრულება და გამოცხადდა ვაკანსია ახალი კადრის მოსაძებნად, გამომდინარე იქედან რომ არავინ დაინტერესდა გამოცხადებული ვაკანსიით, აყვანილ იქნა დამწყები კადრი საცდელი ვადით, რომელმაც წარმატებით გაიარა ის პერიოდი და გააგრძელა მუშაობა საქმისწარმოეის მენეჯერად.
პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე აყვანილ იქნა სტუდენტი, აგრეთვე გამოსაცდელი ვადით, რომელიც ესწრებოდა კვალიფიციური კადრის მიერ ჩატარებულ ლექციებს და მხოლოდ საცდელი ლექციის ჩატარების მერე მიეცა საშუალება განეხორციელებინა მოდული.
შემუშავებულ იქნა გეგმა რომლის მიხედვითაც ზაფხულის პერიოდში შევებულებაში იქნა გაშვებული კოლეჯის პერსონალი ისე რომ არ შეფერხებულიყო კოლეჯის მუშაობა.
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა ჩატარდა 2023 წლის დეკემბერში, ანონიმურად, ელექტრონული ფორმატით. კითხვარი გადაგზავნილი იყო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ელექტრონულ ფოსტაზე. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო თექვსმეტმა თანამშრომელმა.

კითხვები მოიცავდა თანამშრომელთა მოსაზრების კვლევას კოლეჯში არსებულ სამუშაო გარემოსთან და პროცესებთან დაკავშირებით. შერჩეული შემდეგი მიმართულებები რომლის გამოკვლევაც მოხდა : საბაზისო საჭიროებები, მენეჯმენტის მხარდაჭერა, გუნდი და მასთან ურთიერთობა, კარიერული ზრდა განვითარება.

კითხვარი (დანართი 3) შედგებოდა თორმეტი კითხვისგან, თითოეული კითხვა ფასდებოდა 4 ბალიანი სიტემით სადაც 1 იყო მინიმალური შეფასება, 4 კი-მაქსიმალური.

კითხვაზე რამდენად მისაღებია თქვენთვის კომუნიკაციის მექანიზმები კოლეჯის ადმინისტრაციასთან გამოკითხულთა 91.7%-მა შეაფასა 4 ქულით. შემდეგ კითხვაზე: რამდენად კმაყოფილი ხართ სხვა დამატებითი სერვისებით (ჰიგიენა, უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ) თანამშრომელთა 83.3% პასუხობს დადებითად და აფასებს 4 ქულით. შემდეგი ორი კითხვა რომელიც იკვლევდა უსაფრთხოების ნორმების და სამართლებრივ და კანონიერი ინტერესების დაცვას შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში მინიჭებული აქვს 100% 4 ქულიანი შეფასებით. რამდენად შეესაბამება მატერიალურ-ტექნიკური სამუშაო გარემო დადგენილ სტანდარტებს აღნიშნულ კითხვაზე გამოკითხულთა 91.7%-მა შეაფასა 4 ქულით. პერსონალის საქმიანიბის მონიტორინგის მექანიზმები მისაღებია გამოკითხულთა 75%-თვის. მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები კი დადებითად აქვს შეფასებული თანამშრომელთა 91.7%. გამოკითხვის შემდეგი ბლოკი მოიცავდა პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასებას და წამახალისებელ მექანიზმებს. გამოკითხულთა 83.3% ფიქრობს რომ ობიექტურად ხდება პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასება და კოლეჯში მოქმედი საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები მისაღებია 58.3%-ით. ბოლო ორ კითხვაზე: რამდენად

უზრუნველყოფს კოლეჯი თანამშროემლთა მონაწილეობას მისიის შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცესში გამოკითხულთა 91.7% აფასებს 4 ქულით და უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში პერსონალის ჩართულობას გამოკითხულთა 83.3% აფასებს 4 ქულით, ხოლო 8.3% 2 ქულით.

ჩატარდა 16 ადმინისტრაციული თანამშრომლისა და 14 პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასება. შეფასდა პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, დეტალებზე ორიენტირებულობა, სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი, კომუნიკაბელურობა, თვითშეფასებისა და ინიციატივის გამოჩენის უნარი, გუნდურობა, დროის მენეჯმენტი

შეფასება იყო კონფიდენციალური და შეფასების შედეგი ეცნობოდა მხოლოდ შესაფასებელ პირს. შეფასება ხდებოდა 5 ბალიანი შკალით სადაც 5 იყო ძალიან კარგი, ხოლო 1 ძალიან ცუდი.

შეფასების საერთო სურათი კი ამდაგვარია: პროფესიონალიზმის დონე ყველა მათგანში შეფასდა უმაღლესი ქულით, რაც იმას ნიშნავს რომ ჩვენს მიერ შერჩეული კადრი არის კოლეჯის საქმიანობისათვის წარმატების მომტანი. პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, ეს პუნქტი გვიჩვენებს რომ ეს თვისება არცთუ ისე დიდია ბევრ მათგანში.

დეტალებზე ორიენტირებულობა და კომუნიკაბელურობა, ინტერაქცია თანამშრომლთა შორის, ამ პუნქტით შეფასებისას , გამოვლიდა რომ თანამშრომელთა ნაწილი ნაკლებად იჩენს ინციატივას შიდა ორგანიზაციულ აქტივობებში ჩართვისას. ამიტომ მნიშვნელოვანია აქტივობების დაგეგმვა რომელიც გააუმჯობესებს უკუკავშირს თანამშრომლებს შორის, განსაკუთრებით ინიციატივიანობის კომპონენტს. ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის წლის ბოლოს დაგეგმილია ღონისძიება, სადაც უკუკავშირის პრინციპით გამოვლინდება გამარჯვებულების სხვადასხვა კატეგორიებში(საუკეთესო მასწავლებელი, ყველაზე პუნქტუალური, სტუდენტების სიმპატია და. ა.შ).

ეს საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია სხვადსხვა სტრუქტურებს და აკადემიურ პერსონალს შორის და ასევე გაუმჯობესდეს გუნდურობის კომპონენტიც.

შეჯამდა თითოეული პირის ძლიერი და სუსტი მხარეები და განისაზღვრა ის ასპექტები რომელიც მნიშვნელოვანია სამუშაოს უკეთ შესრულებისათვის. ცოდნის უნარისა და კომპეტენციის განვითარებისათვის ნოემბრის თვეში ჩატარდა ტრენინგი, რისთვისაც გამოყოფილი იყო ფინანსური რესურსი, რომელიც გაწერილი იყო კოლეჯის ბიუჯეტით.

დასაქმებულთათვის ჩატარდა შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის მიერ ტრენინგი რომელიც უკავშირდებოდა უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და ჯანსაღ სამუშაო პირობებს

გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოვლინდა მიმართულება რომელიც საჭიროებს მუშაობას მომავალი 2024 წლისთვის, ეს მიმართულებაა პერსონალის საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმების გადახედვა/გაუმჯობესება.

2023 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

2023 წელს გამოცხადდა პროფესიულ პროგრამებზე მიღება, საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტებს ვეხმარებოდით პროგრამებზე დასარეგისრტრირებლად. პროგრამებზე მოთხოვნა იყო ძალიან დიდი.

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ტელეფონი: *555139203*

რეგისტრაციის პროცესის კონსულტირებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონი:

ელფოსტა: *mahirbayramov009009@gmail.com*

ვებგვერდი: *www.msc.ge*

ინფორმაციის ტექნოლოგია

ავტორიზაცია

რეგისტრაცია

პროგრამის განხორციელების ფორმა: *მოდულური*

დონე: *3*

პროგრამის ხანგრძლივობა: *12 თვე*

პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტისთვის: *15 თვე*

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: *საბაზო განათლება*

პროგრამაზე დაშვების მინიმალური ასაკი: *0*

მისაღები სტუდენტების რაოდენობა: *40*

70% გათვალისწინებულია საბაზო განათლების მქონე აპლიკანტებისთვის

30% სრული ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე აპლიკანტებისთვის

მისაღები სსსმ სტუდენტების რაოდენობა: *2*

რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა: *119*

რეგისტრირებული სსსმ აპლიკანტების რაოდენობა: *0*

განხორციელების ადგილი: *მარნეული,რუსთაველის №13 ბ*

დაფინანსების ტიპი: *პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ*

პროგრამის აღწერა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნ
მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიცი¬პალურ ორგანიზა
და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება: - ააწყოს და დაკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი; - დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები; - დაინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემა; - დაინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა; - უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება; - განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები; - გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი; - გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი; - შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები; - შეძლოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგიოაზე 40 ადგილზე დარეგისტრურებული იყო 119 აპლიკანტი.



შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ტელეფონი: *555139203*

რეგისტრაციის პროცესის კონსულტირებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონი:

ელფოსტა: *mahirbayramov009009@gmail.com*

ვებგვერდი: *www.msc.ge*

ავტორიზაცია

აღმზრდელი

რეგისტრაცია

პროგრამის განხორციელების ფორმა: *მოდულური*

დონე: *5*

პროგრამის ხანგრძლივობა: *21 თვე*

პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტისთვის: *26 თვე*

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: *სრული ზოგადი განათლება*

პროგრამაზე დაშვების მინიმალური ასაკი: *0*

მისაღები სტუდენტების რაოდენობა: *72*

70% გათვალისწინებულია სრული ზოგადი განათლების მქონე აპლიკანტებისთვის

30% პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე აპლიკანტებისთვის

მისაღები სსსმ სტუდენტების რაოდენობა: *2*

რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა: *120*

რეგისტრირებული სსსმ აპლიკანტების რაოდენობა: *0*

განხორციელების ადგილი: *მარნეული,რუსთაველის ქ.№13 ბ*

პროგრამის აღწერა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად. კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ შეეძლება: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება 4. წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელის 72 ადგილზე დარეგისტრირებული იყო 120 აპლიკანტი

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ტელეფონი: *555139203*

რეგისტრაციის პროცესის კონსულტირებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონი:

ელფოსტა: *mahirbayramov009009@gmail.com*

ვებგვერდი: *www.msc.ge*

საექთნო განათლება

ავტორიზაცია

რეგისტრაცია

პროგრამის განხორციელების ფორმა: *მოდულური*

დონე: *5*

პროგრამის ხანგრძლივობა: *29 თვე*

პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტისთვის: *34 თვე*

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: *სრული ზოგადი განათლება*

პროგრამაზე დაშვების მინიმალური ასაკი: *0*

მისაღები სტუდენტების რაოდენობა: *72*

70% გათვალისწინებულია სრული ზოგადი განათლების მქონე აპლიკანტებისთვის

30% პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე აპლიკანტებისთვის

მისაღები სსსმ სტუდენტების რაოდენობა: *2*

რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა: *128*

რეგისტრირებული სსსმ აპლიკანტების რაოდენობა: *0*

განხორციელების ადგილი: *მარნეული,რუსთაველის ქ. №13 ბ*

დაფინანსების ტიპი: *პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ*

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული ტესტირება:

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ავადმყოფის, სნეულის ან სპეცი[illegible] საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას, ექიმებ[illegible] სხვა სამედიცინო ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას, პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმე ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და მოვლაზე. ასევე, პროგრამა მოიცავს მოხუცების და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. პროგრამა ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, მინმოვლის სფეროში; ან/და სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება შემდეგი სამუშაოების შესრულება: 1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა 2. უზრუნველყოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა 3. უზრუნველყოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა 4. უზრუნველყოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა 5. უზრუნველყოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა 6. უზრუნველყოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა 7. უზრუნველყოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა 8. უზრუნველყოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა 9. უზრუნველყოს მინმოვლის მომსახურების გაწევა 10. უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა 11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლებაზე 72 ადგილზე დარეგისტრირებული იყო 128 აპლიკანტი.

Шპს ᲫᲐᲠᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲘ

ტელეფონი: 555139203

რეგისტრაციის პროცესის კონსულტირებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონი:

ელფოსტა: mahirbayramov009009@gmail.com

ვებგვერდი: www.msc.ge

საფინანსო სერვისები

პროგრამის განხორციელების ფორმა: მოდულური

დონე: 3

პროგრამის ხანგრძლივობა: 10 თვე

პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტისთვის: 12 თვე

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

პროგრამაზე დაშვების მინიმალური ასაკი: 17

მისაღები სტუდენტების რაოდენობა: 30

70% გათვალისწინებულია საბაზო განათლების მქონე აპლიკანტებისთვის

30% სრული ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე აპლიკანტებისთვის

მისაღები სსსმ სტუდენტების რაოდენობა: 2

რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა: 95

რეგისტრირებული სსსმ აპლიკანტების რაოდენობა: 0

განხორციელების ადგილი: მარნეული,რუსთაველის №13 ბ

დაფინანსების ტიპი: პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, ორგანიზებისა და კონტროლის საკითხებს. პროგრამა ასევე მოიცავს ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ინდივიდ საფინანსო რესურსების კონტროლსა და მონიტორინგს, კორპორაციებისა და ინდივიდების ფინანსური მომსახურების საკითხებს. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში მოლარისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე. კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ შეეძლება: კურსდამთავრებულს შეეძლია: 1. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში 2. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში 3. შეასრულოს სალარო და საბანკო ოპერაციები 4. შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები 5. ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისებზე 30ადგილზე დარეგისტრირებული იყო 95 აპლიკანტი.
მარნეულში არის 3 კერძო და ერთი პროფესიული კოლეჯი, აქედან გამომდინარე კონკურენცია დიდია, დარეგისტრირებული აპლიკანტების დიდმა რაოდენობამ მაინც ვერ უზრუნველყო კოლეჯის კვოტის შევსება, რეგიონში არდეწბული მდგომარეობიდან გამომდინარე. შეივსო ინფორმაციის ტექნოლოგიის, საფინანსო სერვისებისა და აღმზრდელის პროფესიული პროგრამები, მაგრამ ვერ მოხდა კვოტის შევსება საექთნო საქმეზე.
დიდი იყო ნაკადი ვისაც პრობლემა ჰქონდა სახელმწიფო ენის ცოდნის. გამომდინარე იქედან რომ მომავალ სასწავლო წელს ეს კონტიგენტიჩვენი პოტენციური სტუდენტები შეიძლება გახდნენ, დავეხმარეთ მათ, მივაწოდეთ ინფორმაცია ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის შესახებ და დავეხმარეთ ქართული ენის შემსწავლელ კურსზე დარეგისტრირებაში.

ნოემბერში კოლეჯში დაიწყო სწავლა. ჩატარდა შეხვედრა ახალ პროფესიულ სტუდენტებთან და მიეწოდა ინფორმაცია მათ უფლებების/ვალდებულებებისა და კოლეჯში არსებულ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის/დახმარების შესაძლებლობის შესახებ; გაეცნენ კოლეჯის ინფრასტრუქტურასა და სტრუქტურულ ერთეულებს.

2023 წლისთვის იგეგმებოდა პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამის დანერგვა და განხორციელება, თუმცა ამ წელს ეს ამოცანა ვერ შესრულდა, შემუშავებულია მარეგულირებელი აქტები, რომლის განხორციელება იგეგმება 2024 წლისთვის.

2023 წლისთვის ასევე იგეგმებოდა ახალი პროფესიული პროგრამის დამატება, რომლის შესრულებაც გადაიდო 2024 წლისთვის.

ხარისხის შიდა სისტემის გაუმჯობესებისთვის ჩატარდა კვლევები ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ასავე, მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი. შეიქმნა შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ესწრებოდა ლექციებს და წერდა ოქმებს. დასწრების უკუკავშირი მიეწოდებოდათ პროფესიულ მასწავლებლებს.

პროგრამების ფარგლებში გადახედილ იქნა აღჭურვილობები და საჭიროებისამებრ კოლეჯმა შეიძინა 6 ცალი დიდი მონიტორი, გარემონტდა პრინტერები და შეძენილ იქნა ახლა 12 კატრიჯი. პერსონალური კომპიუტერებისთვის შეძენილ იქნა მეხსიერების ბარათი, ყოველთვიურად შეძენილ იქნა ქაღალდი, კალმები, ბაინდერები. საჭიროებიდან გამომდინარე ასევე შეძენილ იქნა 10 პერსონალური კომპიუტერი.

ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფინანსური მენეჯერი 2023 წლის განმავლობაში აწარმოებდა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციის პროცესის კოორდინაციას, ფინანსური ანგარიშგების, მიღება-ჩაბარებისა და ურთიერთშედარების აქტების მომზადებას, სამეურნეო ოპერაციების გაფორმებას, ხელფასების გაანგარიშებას და სახელფასო უწყისების მომზადებას, მივლინების გაანგარიშებას. ასევე, შედგა კოლეჯის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტი.
პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვისთვის და გაუმჯობესებისთვის შემუშავდა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
დაწესებულების პერსონალის განვითარებისთვის ჩატარდა კვლევა, რომლის საშუალებითაც გამოაშკარავდა მათი საჭიროებები და ამის მიხედვით ჩაუტარდათ ტრენინგები. ასევე, ადმინისტრაციულ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი ხანძრის დროს უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ. გარდა ამისა, შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის მიერ ჩატარდა ტრენინგი, რომელიც უკავშირდებოდა უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და ჯანსაღ სამუშაო პირობებს.

მთელი წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი განიხილავდა პერსონალის და პროფესიული მასწავლებლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებს რის საფუძველზეც ჩატარდა რამოდენიმე ტრენინგი, აგრთვე პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების ჩართვა განათლების ხარისხის მართვის ცენტრისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარებულ ტრენინგებში.

კოლეჯის ცნობადობის გაზრდის მიზნით სკოლებში და სასწავლო ცენტრებში ტარდებოდა შეხვედრები, სკოლის მოსწავლეები გაეცნენ კოლეჯშ არსებულ პროგრამებს. ამ შეხვედრების შედეგად სკოლის მოსწავლეების მხრიდან გაიზარდა მომართვიანობა კოლეჯში სწავლის გაგრძელების შესახებ. ასევე, ჩატარდა დასაქმების ფორუმი, სადაც კურსდამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები შეხვდნენ დამსაქმებლებს.

შემუშავდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის დოკუმენტი და საჭიროებისამებრ დაინერგა.

პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მიზნით მთელი წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერი იძიებდა ვაკანსიებს და უზიარებდა სტუდენტებს.

ჩატარდა დასაქმების ფორუმი სადაც კურსამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები შეხვდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება დახმარება CV-სა და სამოტივაციო წერილის შედგენაში დამსაქმებლებთან წარსადგენად. ასევე, სტუდენტებს ჩაუტარდათ პროფესიის მიხედვით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრა ჰქონდათ თიბისი ბანკის დირექტორორთნ, ბაგა-ბაღის გაერთიანების ცენტრის დირექტორთან, ჯეო ჰოსპიტალის ქირურგთან სულეიმან კარაკოვასთან.

ჩატარდა 7-მდე არაფორმალური აქტივობები. აღინიშნა 3 მარტი - დედის დღე, 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე, 14 აპრილი - დედაენის დღე. ასევე სტუდენტები იყვნენ ექსკურსიაზე იაკობ გოგებაშვილის მუზეუმში და ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ასევე 26 მაისს გაიმართა ღონისძიება დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად.

ჩატარდა საკვალიფიკაციო და შუალედური გამოცდა, მიუხედავად იმისა, რომ შუალედური გამოცდები ბრძანებით 2024 წელს მიღებულ სტუდენტებს ეხება. გამომდინარე იქიდან, რომ პროცესი დაწყებული იყო 2023 წელს მიღებულ სტუდენტებთან ჩავატარეთ შუალედური გამოცდები.

წლის განმავლობაში გადაიხედა კოლეჯის სხვადასხვა დოკუმენტები და მათ შორის ჩარიცხვის წესი, რომელშიც მომავალი წლისთვის უნდა შევიდეს ცვლილები.

დანართი 1

ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა, გამოიკითხა 72 პროფესიული სტუდენტი, საიდანაც გაირკვა რამდენად კმაყოფილი არიან სასწავლო პროცესითა და პროფესიული მასწავლებლის მიერ ჩატარებული თეორიული, პრაქტიკული თუ შეფასების კომპონენთით.

სასწავლებელმა მომაწოდა ინფორმაცია მოდულური სწავლების შესახებ

72 resposes

გავეცანი მოდულის სწავლის შედეგებს

72 resposes



ვფიქრობ, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში

72 resposes

ვიცნობ მთლიანობაში მოდულურ სასწავლო პროგრამას და შესაბამის სასწავლო გეგმას

72 resposes



გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს

72 resposes



გამაცნეს, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში

72 resposes

მასწავლებელი/მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას

72 resposes

სწავლის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას

72 resposes

მასწავლებელი სისტემატურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით

72 responses



სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს

72 responses

მოდულზე გათვალისწინებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად?

72 responses

შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები,ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას.

72 responses

სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) ჩემთვის ხელმისაწვდომია

72 responses

სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) - არ გვაქვს პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

72 responses

ესწრებოდით თუ არა მეცადინეობებს?

72 responses



დანართი 2

ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანონიმური გამოკითხვა, გამოიკითხა 10 პროფესიული მასწავლებელი.









რამდენად მისაღებია თქვენთვის საქმიანობის შეფასების მონიტორინგის მექანიზმები

9 responses



რამდენად კმაყოფილი ხართ თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორიებით

10 responses



რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო მასალით

10 responses



რამდენად ობიექტურად ხდება მასწავლებლის საქმიანობის ხარისხის შეფასება

10 responses



რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი კონფორტულ სამუშაო გარემოს

10 responses



თქვენი დაკვირვებით, რამდენად აქტიურად თანამშრომლობენ კოლეჯის სასწავლო პერსონალის წარმომადგენლები ერთმანეთთან სწავლების პროცესში

10 responses



რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი თქვენს მონაწილეობას კოლეჯის მისიის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში

10 responses



რამდენად ეფექტურია კოლეჯში პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები

10 responses



რამდენად უწყობს კოლეჯი ხელს პროფესიული მასწავლებლის პროფესიულ გაწვითარებას

10 responses



რამდენად გრჩებათ საკმარისი დრო პროფესიული გაწვითარებისათვის

10 responses



დანართი 3

ადმინისტრაციული თანამშრომლისა და პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ანალიზი

ჩატარდა 15 ადმინისტრაციული თანამშრომლისა და 11 პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასება, გამოყენებულ იქნა ელექტრონული შეფასების ფორმა:

შესაფასებელი პირის სახელი გვარი	
შესაფასებელი პირის პოზიცია	
პროფესიონალიზმი	
პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა	
ორგანიზებულობა	
დეტალებზე ორიენტირებულობა	
სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი	
კომუნიკაბელურობა	
თვითშეფასებისა და ინიციატივის გამოჩენის უნარი	
გუნდურობა	
დროის მენეჯმენტი	

შეფასება იყო კონფიდენციალური და შეფასების შედეგი ეცნობოდა მხოლოდ შესაფასებელ პირს.შეფასება ხდებოდა 5 ბალიანი შკალით სადაც 5 იყო ძალიან კარგი, ხოლო 1 ძალიან ცუდი.

შეფასების საერთო სურათი კი ამდაგვარია: პროფესიონალიზმის დონე ყველა მათგანში შეფასდა უმაღლესი ქულით, რაც იმას ნიშნავს რომ ჩვენს მიერ შერჩეული კადრი არის კოლეჯის საქმიანობისათვის წარმატების მომტანი. პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, ეს პუნქტი გვიჩვენებს რომ ეს თვისება არცთუ ისე დიდია ბევრ მათგანში.

დეტალებზე ორიენტირებულობა და კომუნიკაბელურობა, ინტერაქცია თანამშრომლთა შორის, ამ პუნქტით შეფასებისას , გამოვლინდა რომ თანამშრომელთა ნაწილი ნაკლებად იჩენს ინციატივას შიდა ორგანიზაციულ აქტივობებში ჩართვისას. მნიშვნელოვანია აქტივობების დაგეგმვა რომელიც გააუმჯობესებს უკუკავშირს თანამშრომლებს შორის, განსაკუთრებით ინიციატივიანობის კომპონენტს. ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის განისაზღვროს ღონისძიების დაგეგმვა რომელიც ჩატარდება წლის ბოლოს სადაც გამოვლინდება გამარჯვებულების სხვადასხვა კატეგორიებში(საუკეთესო

მასწავლებელი, ყველაზე პუნქტუალური, სტუდენტების სიმპატია და. ა.შ). ეს საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია სხვადსხვა სტრუქტურებს და აკადემიურ პერსონალს შორის და ასევე გაუმჯობესდეს გუნდურობის კომპონენტიც.

შეჯამდა თითოეული პირის ძლიერი და სუსტი მხარეები და განისაზღვრა ის ასპექტები რომელიც მნიშვნელოვანია სამუშაოს უკეთ შესრულებისათვის. ცოდნის უნარისა და კომპეტენციის განვითარებისათვის განსაზღვრულია დეკემბრის თვეში ტრენინგის ჩატარება სადაც მოწვეული იქნება შესაბამისი კომპეტენციის ტრენერი, რისთვისაც გამოიყოფა ფინანსური რესურსი, რომელიც გაწერილია კოლეჯის ბიუჯეტით






ორგანიზებულობა
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26


დეტალებზე ორიენტირებულობა
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25


სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26


კომუნიკაბელურობა
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26


თვითშეფასებისა და ინიციატივის
გამოჩენის უნარი
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26


გუნდურობა
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26


დროის მენეჯმენტი
6
5
4
3
2
1
0
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26